აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების აბილიტაცია და მშობლების ჩართულობა

ლაურა ყალიჩავა

ფსიქოლოგია: კლინიკური ფსიქოლოგია

ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, პროფესორი

PhD, BCBA

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2023

განაცხადი

ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ჩემი სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, ან გამოსაქვეყნებელად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით.

ლაურა ყალიჩავა

აბსტრაქტი

მსოფლიოს მასშტაბით ყოველწლიურად იზრდება აუტიზმით დიაგნოსტირებული ბავშვებს რაოდენობა და შესაბამისად სულ უფრო მეტ მშობელს უწევს აუტიზმის მქონე შვილის მშობლობა, ამ დიაგნოზთან და მის სირთულეებთან თანაცხოვრება. თუმცა ყველა ადამიანის, როგორც მშობლის გამოცდილება განსხვავებულია იმ თვალსაზრისით, თუ რა ხარისხით არიან ისინი ჩართულები მათი შვილების ყოველდღიურობაში და აუტიზმის დიაგნოზის მქონე შვილების ხანგრძლივი აბილიტაციის პროცესში.შვილის ფიზიკური თუ მენტალური განვითარების პრობლემა განსაკუთრებით სტრესულია მშობლებისთვის, რასაც თან ახლავს მხარდაჭერის, პრობლემასთან გამკალვების ეფექტური მექანიზმების მოძიების სირთულე, როგორც ემოციური, ისე მატერიალური და სხვა გარემო ფაქტორების თვალსაზრისით.

კვლევა ჩატარდა აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების მშობლებთან, შვილების აბილიტაციის პროცესში მათი ჩართულობის ხელშემწყობი ფაქტორების გამოსავლენად. კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდით, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს საშუალებით. მონაწილეობა მიიღო 5-მა მშობელმა.მონაცემები დამუშავდა თემატური ანალიზის მეთოდით. მშობლებისთვის აბილიტაციაში ჩართულობის ხელშემწყობი შემდეგი ფაქტორები გამოიკვეთა: მშობლის ფსიქოგანათლება; გარემოში სხვა დამხმარე, მხარდამჭერი და ინფორმაციის მომწოდებელი ადამიანების არსებობა; მშობლების მიერ შვილის დიაგნოზის მიღება და აღიარება; ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობის ტიპი (ურთიერმხადაჭერა); ბავშვის პოსტანატალური პრობლემური მდგომარეობა.

საძიებო სიტყვები: აუტიზმი, მშობლების ჩართულობა, აბილიტაცია, ხელშემწყობი ფაქტორები

Abstract

The number of children diagnosed with autism increases every year around the world, and as a result, more and more parents have to bring up a kid with autism and deal with the challenges that come with it. Regarding the level of involvement parents have in their children's everyday lives and in the long-term rehabilitation of their autistic children, each parent's experience as a parent is unique, though. The problem of a child's physical or mental development can be quite stressful for parents, as it is accompanied by the challenge of finding appropriate tools for assistance and coping with the situation, both emotionally, materially, and in terms of other environmental aspects.

The study was undertaken with parents of children with autism spectrum disorder to find factors that contribute to their involvement in the rehabilitation process of their children. The research was carried out using a qualitative research method with semi-structured interviews. There were five parents who took part. The data was processed using the thematic analysis method. The following factors were identified as contributing to parental involvement in habilitation: parental psychoeducation; the presence of other helpful, supportive, and informative people in the environment; parental acceptance and recognition of the child's diagnosis; the type of relationship between husband and wife (reciprocity); and the child's postnatal problematic condition.

Key words: Autism, Parent participation,Habilitation, Contributing factors.